საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ორგანო.

ვაზი და ღვინო

წელიწადი პირველი.

№ 9 1—15 მკათათვე 1920 წ. № 9

შ ი ნ ა ა ა რ ს ი:

1. მოწინავე . . . . . ს. ჩოლაყაშვილი.
2. ღვინის წარმოშობა . . . . მიხ. შალამბერიძე.
3. წესდება
4. ღვინის კანონ-პროექტი
5. პრესსა. . . . . ნარ-ზენი.

ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, არანაკლებ 16 გვერდისა. ხითო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია 50 მან. ამ ფასით ჟურნალის გამოწერა შეიძლება **სამი თვით.**

ჟურნალის რედაქცია იმყოფება საბჭოს ბინაზედ—თბილისი, ბარიატინსკის ქუჩა № 5.

თ ბ ი ლ ი ს ი რუსთაველის ქუჩა № 33

კახეთი, სადგური „მუკუზანი," კახეთის რკინის გზა.

„კავშირთ-კავშირი" დაარსებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 1919 წლის 8 თებერვალს. „კავშირთ-კავშირში" შედიან ველისციხის, გურჯაანის და კარდანახის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობანი 4400 წევრით, რომელთაც 4200 დესეტინა ვენახი აქვთ.

„კავშირთ-კავშირის" გამგეობა, მთავარი კონტორა და საწყობი მოთავსებულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რკინის გზის სადგურ მუკუზანთან.

საყურადღებოდ.

ქალალდის და მუშა ხელის გაძვირების გამო დღეიდან ჟურნალი „ვაზი და ღვინო“ ღირება 50 მანეთი

თბილისი 1920 წ. 15 მკათათვე

ჩვენი ორკვირეულის დღევანდელ ფურცლებზე იბეჭდება საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს მიერ შემუშავებული წესდება სრულიად საქართველოს მეღვინე და მევენახეთა ყრილობებისა.

საბჭომ ეს წესდება შეამუშავა თანახმად წარსული წლის 23 გიორგობისთვის მოწვეულ კონგრესის დავალებისა, რომელმაც მკაფიოთ აღნიშნა სულის კვეთება ყველა ჩვენი ვაზის მუშისა და დაადგინა, რომ თვით მევენახეთ შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გაუძღვებოდა ამ დარგის ყველა საჭიროებას.

ასეთი ორგანიზაციის შექმნა გამოიწვია ცხოვრებამ; ყოველივე ეჭვს გარეშე და უდაოა ის დებულება, რომ ცხოველ და დიდ საქმეს გასაძღოლათ, თვით საქმის ჭირისუფალნი უნდა ედგნენ სათავეში და ლელო თვით გაიტანონ.

არცერთი წამი დასავიწყარი არ არის, რომ დღევანდელი ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობა დიდ კრიზისს უახლოვდება და თუ სათანადო ალღო არ აეღო, შეიძლება მდგომარეობა შეიქმნეს აუტანელი.

ზეზეურათაც რომ გავითვალისწინოთ აწინდელი მდგომარეობა ამ უაღრეს დიდ მნიშვნელოვან დარგისა, დავინახავთ რომ ჩვენი ღვინოები დაგუბებულია, რადგან მათი დღევანდელი ღირსება ვერ აკმაყოფილებს გარეშე ბაზარს და, თუ სხვა წესით დამუშავებას და ნაწარმოების გაუმჯობესობას არ მივყავით ხელი, არც მოსალოდნელია რომ ფართე გარეშე ბაზარი მოვიპოვოთ. ასეთი მდგომარეობა არამც თუ დასცემს ამ დარგს, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებას მეტ ხარჯათ მოევლინება, რადგან წლიურათ საზღვარგარეთიდგან მარტო შაბიამან-გოგირდის შემოტანა რამდენიმე ათეულ მილიონისაა საჭირო და ამის ღირებულების ღვინოც რომ არ გავიტანოთ საზღვარ-გარეთ, ამ მასალების ღირებულება სახელმწიფო სალაროს აუნაზღაურებელ ზარალათ უნდი დააწვეს.

დღევანდელი კახეთის ჩინებული ვენახები, რომელიც ზურმუხტის ფრათ აბიბინებულნი ალაზნის ველის ბექობებზე გადაჭიმულან და ზღაპრულ წალკოტს მოგაგონებენ, ათიოდე წლის შემდეგ უკაზო ქვეყანად იქცევა, ამდენად ბევრ ალაგას არი აღმოჩენილი ფილოქსერა; ერთერთი საშუალება კი, ამერიკულ ვაზზე მათი გადაშენება არსად სწარმოებს—რევოლიუციის ქარიშხალმა ჩანთქა და გაანადგურა ჩვენი ქვეყნის ამერიკული ვაზის სანერგეები და დღეს არც კი მოგვეპოება საშუალება სადმე ვიშოვოთ გინდ მეასედი ნაწილი იმ ვაზისა, რაც გვჭირდება; საჭიროა ამერიკული ვაზის სანერგეების აღდგენა და გაფართოვება.

ვენახების მოსაწამლი მასალები და იარაღები ევროპიდან მოგვიდის; ვიდრე ვაზის მუშას მიაღწევს, ათიოდე ხელში გადადის და ადგილობრივ მამასისხლის ფასად იყიდება, რის შედეგია ბევრჯელ ვენახების ან სრულიად ან ნაკლებ მოწამვლა და ამის გამო მოსავლის დაღუპვა.

ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად საჭირო ა ამ დარგის შესწავლა გამოკვლევა მეცნიერული თვალსაზრისით და ამის მი-

ხედვით მევენახეთა წრეებში შეტენა ამა-თუ იმ ცვლილებისა.

კანონმდებლობა, რომელიც ვაზს და ღვინოს ეხება, დადასტურებული უნდა იყოს თვით ამ დარგის მომუშავეთაგან და ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეღობებოდეს ამ დარგის გაფართოება გაუმჯობესებას.

ჩვენ წვრილ მევენახეთ არ ძალუძთ შექმნან მოწყობილი სარდაფები ღვინის დაყენების და შენობების გასაუმჯობესებლად; ამისთვის საჭიროა ძლიერი კოოპერატიული ამხანაგობათა მოწყობა და ხელმძღვანელობა.

აი ყველა ამაზედ და ბევრ სხვა მევენახეთა და მეღვინეთა აუცილებელ საჭიროებაზედ მოუხდება ზრუნვა იმ ორგანოს, რომლის წესდებების პროექტიც ჩვენ დღევანდელ ორგანოში იბეჭდება.

საბჭო დაიმედებულია, რომ ჩვენი ქვეყნის მესვეურნი სავსებით გაუწევენ ანგარიშს ამ თვით ცხოვრებისაგან გამოწვეულ დაწესებულების შექმნას, რომელიც იზრუნავს მევენახეობა-მეღვინეობის წარმოების მოგვარებასა და განვითარებაზე; და შემოდგომაზედ, როდესაც დამფუძნებელ კრებას მოხსენდება დასამტკიცებლათ წესდება სრულიად საქართველოს მეღვინე და მევენახეთა ყრილობებისა, იგი ერთხმათ მიღებული იქნება. დასავლეთ ევროპაში ც, საფრანგეთში და გერმანიაში, თუ დღესდღეობით მევენახეობა-მეღვინეობამ უმაღლეს განვითარების საფეხურს მიაღწია, მხოლოდ თვით ამ დარგში მომუშავეთა შეკავშირებით და საკუთარ ძალღონით საქმის მიგვარებით მოახერხა.

ს. ჩოლაყაშვილი.

ღვინის წარმოება.

ღვინის მომწიფება.

ჩვენში ტკბილის დუღილიც და ღვინის დამწიფებაც ქვევრში ხდება. როგორც უკვე წინანდელ წერილში მოვიხსენიეთ, ღვინის დამწიფებისათვის საჭიროა ჰაერი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მისი ჟანგბადი, და ვეჭვობ, რომ ამ ჰაერის ჟანგბადს რამე გავლენის მოხდენა შეეძლოს ჩვენებურად მიწაში ჩაფლულ ქვევრებში შენახულ ღვინოზე. ვგონებ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ღვინოების ჩვენებურათ დაყენება და შენახვა მეცნიერულად ჯერ სრულიად არ არის გამოკვლეული, და არც თუ გონივრული გამოცდილება და დაკვირვება აღუნიშნავს ვისმეს. შესაძლებელია, ჩვენში არსებულ პირობებში უპირატესობა თუ არა რამე შესამჩნევი ღირსება ჰქონდეს ქვევრებში ღვინის შენახვას, მაგრამ ამის შესახებ ცნობების უქონლობის გამო არ შეიძლება გადაწყვეტით რისამე თქმა.

განყენებულად მეცნიერულათ კი თუ ვიმსჯელებთ, იმის მიხედვით რაც ევროპიელ სწავლულმა მეღვინეებმა მრავალწლობითი გამოცდილებით დასკვნეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურად ქვევრებში დაყენებული ღვინოები, რაც უნდა კარგ ჯიშის, კარგად მოწეულ ყურძნიდან და კარგ მეღვინესაგან იქმნას იგი დაყენებული, ვერას დროს ვერ შეედრება იმავე ღვინოს, თუ ის ევროპიულად იქმნა დაყენებული და კოდაში (ბოჩკაში) შენახული.

სწორედ ამის გამო არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, თუნდაც ამავე ჩვენს „ორკვირეულში", რომ, თუ ჩვენ კარგ თვისებიანი და ღირსების ღვინო გვინდა

გვქონდეს, რომელსაც ჩვენს სახელმწიფოს საზღვრების გარეთ უცხო სახელმწიფოთა ბაზარზედაც ექნება გასავალი, უეჭველად ჩვენებურად ყოველნაირი ღვინის კლერტებიან ჭაჭაზე დაყენებაზე და ქვევრებში ღვინის შენახვაზე უარი უნდა ვთქვათ.

ამიტომ უმაჩილესად ვთხოვ მკითხველს მხედველობაში იქონიოს, რომ შემდეგში ყველა ცნობები შეეხება კოდებში (ბოჩკა) შენახულ ღვინოს

ყოველნაირ ხის უხილავ აგებულებას უჩინმაჩენით (მიკროსკოპით) რომ დავაკვირდეთ შევნიშნავთ, რომ იქ მრავალი თვალთათვის უხილავი მილები მოიპოვება სხვადასხვა მიმართულებით გავლილი. ზოგ ხის ჯიშს უფრო მსხვილი აქვს ეს მილები, ზოგს კი უფრო წვრილი. ამისთანა წვრილ მილებს ისეთი თვისება აქვს, რომ, თუ მათი ბოლოები რამე თხიადს მოვახვედრეთ (თხიადში ჩავდეთ), მალე ისინი მთლად გაივსებიან და თხიადი ამ წვრილ მილების მეორე ბოლოში გამოჩნდება; რადგან ასე ვთქვათ ეს მილები ისვრეტავენ თხიადს, ამიტომ ამგვარ მილებს ეწოდება სვრეტოები; ხოლო ის ხე ან სხვა რამ ნივთი, რომელსაც მრავალი ამისთანა სვრეტოები მოეძებნება, იქნება სვრეტოვანი.

და როდესაც ღვინო ხის რამე ჭურჭელშია (კოდაში, ბოჩკაში) მოთავსებული, აი სწორედ კოდის ხის ამ სვრეტოვან კედლებში გადის ღვინო და ორთქლდება. მაგრამ ღვინის თბილანდი (ტემპერატურა) კოდაში (ბოჩკაში) და იმ გარემოს ჰაერის თბილანდი, სადაც ღვინით სავსე კოდა იმყოფება მუდამ ერთი და იგივე არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ჰაერის თბილანდი (ტემპერატურა) არა თუ ზამთარ ზაფხულ, დღე და ღამეშიაც კი ძალიან იცვლება. მართალია, კარგს მარანში ისეთი დიდი ცვლილება არა ხდება თბილანდისა, როგორც გარეთ ჰაერზე, მაგრამ პატარა ცვლილება იქაც მაინც ყოველთვის არსებობს.

როდესაც მარანში ჰაერი გათბება, გათბება კოდის (ბოჩკის) კედლებიც და კოდის გამთბარი კედლები გაათბობს ღვინოსაც, ეს გათბობა შეიძლება ისე მცირე იყოს, რომ ზერელე დაკვირვებით თბიზომზედაც (ტერმომეტრი) ვერ შევამჩნიოთ. ჩვენ კი ვიცით, რომ გათბობით ყოველნაირი სხეული, მათ შორის ჰაერიც და ღვინოც, ფართოვდება (და სიმკვრივესაც იკლებს). კოდაში მოთავსებული ღვინო და ჰაერი ამ გათბობისაგან გაიწევენ და თუ კოდას (ბოჩკას) პირი დაცობილი აქვს, შიგ შეიძლება ისეთი წნევა (დაწოლა) გაჩნდეს, რომ საცობი ამოაგდოს. ყოველ შემთხვევაში, ბევრი თუ ცოტა ჰაერი (თუ კოდა სავსე არ არის, რასაკვირველია, შიგ ჰაერიც იქნება) და ღვინო კოდიდან (ბოჩკიდან) სვრეტოების შემწეობით გამოვა. სამაგიეროდ, როცა მარნის ჰაერის თბილანდი (ტემპერატურა) დაიწევს, ცოტათი გაცივდება, გაცივდება აგრეთვე კოდაში მოქცეული ჰაერიც და ღვინოც. ჩვენ კი ვიცით, რომ გაციებით ყოველი სხეული, და მათ შორის როგორც ჰაერი აგრეთვე ღვინოც იკუმშება და ნაკლებ ადგილს იჭერს. ამიტომ კოდაში, ასე ვსთქვათ, თავისუფალი ადგილი გაჩნდება და, რადგან გარედან კოდის კედლებზე მეტი ჰაერის წნევა (დაწოლა) იქნება ვიდრე შიგ კოდაში, გარედან ჰაერი (ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჰაერში არსებული ჟანგბადი) შევა კოდაში — თუ საცობი ახდილი აქვს ამ პირიდან, თუ არა და სვრეტოების შემწეობით მეტის თუ ნაკლების

სისწრაფით—გაერევა ღვინოს და იმოქმედებს მასზე.

ნათქვამიდან ცხადია, რომ რაც უფრო მაღალი თბილანდი (ტემპერატურა) იქნება და სწრაფად შეიცვლება მარნის ჰაერი, რაც უფრო მშრალი იქნება ეს ჰაერი და პატარა კოდებში (ბოჩკებში) შეინახება ღვინო,—მაშასადამე ღვინის აორთქვლას და ჰაერის მოქმედებას მეტი ასპარეზი ექნება დატოვებული;—და ამასთანავე რაც უფრო თხელი კედლები ექნება კოდას (ბოჩკას) და ნაკლებად მკვრივ მასალიდან იქნება ის გაკეთებული, ღვინო უფრო სწრაფად მომწიფდება, ვიდრე წინააღმდეგ პირობებში.

მომწიფებულად ითვლება ღვინო, როდესაც მას უკვე მოპოვებული, განვითარებული აქვს ყველა თავისი დამახასიათებელი თვისებები და ხანგრძლივად შეიძლება შეინახოს იგი. ასეთი ღვინო რომ ცოტახნობით ჰაერზე ახდილად დარჩეს, არ უნდა შეიცვალოს: არც გარემოს სითბოს ცვალებადობამ უნდა იმოქმედოს მასზე და, პირდახურულ ჭურჭელში რომ დიდხანს შევინახოთ, არც იქ უნდა აიმღვრას ან ნალექი რამ გააჩინოს. ყოველივე ეს დამოკიდებულია, როგორც ტკბილის სრულ დადუღებაზე (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი) აგრეთვე ჰაერის მოქმედებაზე. ჰაერი ჟანგავს ღვინის ზოგიერთა შემადგენელ ნაწილს, მათ უხსნელად აქცევს და ჰლექავს. მაგრამ როგორც საზოგადოდ, აქაც ზომიერებაა საკალდებულო ღირსეულ თვისებიან ღვინის მიღებისათვ ს, თუ ჟანგბადმა საჭიროებაზე ხანგრძლივად იმოქმედა ღვინოზე, შესაძლებელია მრავალი ძვირფასი თავისი თვისება დაჰკარგოს ღვინომ. რამდენადაც ჰაერის ჟანგბადი ახალს, მღვრიე და ცვალებად ღვინოს, სწმენდავს, ამწიფებს და ამტკიცებს, იმდენადვე იგი შემდეგ ართმევს მას მის კეთილშობილურ თვისებებს და, ასე ვსთქვათ, აბერებს ამგვარად ღვინოს. რასაკვირველია ამის მიხედვით, თუ რა გვარი მასალიდან გვაქვს ჩვენ ახალი ღვინო მიღებული და როგორი ღვინის გამოყვანა გვინდა, მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივ უნდა შევინახოთ ღვინო კოდებში (ბოჩკებში) მათზე ჰაერის მოსაქმედებლად. ამის გამო საჭიროების მიხედვით ღვინოს ინახვენ ხან დიდრონს კოდებში და ხან პატარებში, ხან გრილ სარდაფებში და ხან კი თბილს ადგილზე, ხან ახლად გაკეთებულს ჭურჭელში ასხამენ, რომელსაც შიგნით ღვინის ქვა არა აქვს კედლებზე დალექილი (ამისთანა კოდაში ჰაერი უფრო ადვილად იმოქმედებს ვიდრე ძველ კოდაში, რომლის სვრეტოებიც ღვინის ქვით არის ამოჭედილი), ხან ამისთანა კოდას (ბოჩკა) ზეთს ან ლაქსაც კი წაუსვამენ ხოლმე, რომ ჰაერმა არ იმოქმედოს ღვინოზედან—ამ საკითხის გადაწყვეტა თითქმის სულ მთლად გამოკდილ მეღვინის ხელოვნებაზეა დამყარებული.

———

კოდაში (ბოჩკაში) შენახვის დროს ღვინო, როგორც ყველამ იცის, ცოტ ცოტა შრება. გაშრობილ ღვინის რაოდენობა კარგს სარდაფებში წლიურად უდრის $1^1/_4$—$4^0/_0$-ს. თავისთავად ცხადია, რომ ეს გაშრობის რაოდენობა პირდაპირ დამოკიდებულია იმ ადგილის სითბოს სიმაღლეზე, სადაც შენახულია ღვინო. მაგრამ პასტერმა იპოვნა აგრეთვე დამოკიდებულება კოდას (ბოჩკა) სიდიდის და გაშრობის შორის. მისი დაკვირვებით წლიურათ ჰკარგავს ღვინოს

150 ლიტ (=$12^1/_2$ ვედ.) კოდა—$3,5^0/_0$-ს
500 „ (=$41^1/_2$ „) „ —$2,5^0/_0$
1800 „ (=150 „) „ —$1,7^0/_0$

ამ გვარად, რაც უფრო დიდია კოდა მით უფრო ნაკლები ღვინო იკარგება გაშრობით.

გაშრობისგან დანაკლებულ ღვინოს წესიერად შევსება უნდა ყოველთვის, თორემ მას ადვილად გაუჩნდება ობის ან ძმრის მცია და ჩქარა წახდება.

მიხ. შალამბერიძე.

(გაგრძელება იქნება)

შეცდომის გასწორება.

„ვაზი და ღვინო-“ს № 8, გვ. 8, სტრიქ. ზემ. 8 **სწერია**: დუღილი უდროოდ ნელდება და ხშირად ჩერდება კიდეც, თუ თბიდანდმა (ტემპერატურამ) 25-25-ს მიაღწია. **უნდა იყოს**: თუ თბიდანმა (ტემპერატურა) 25-ს ზემაღლა აიწია, დუღილი უდროოდ ნელდება, და შესაძლებელია სულ მთლადაც გაჩერდეს, თუ თბიდანდმა (ტემპერატურამ) 40—50° მიაღწია, რაც ხშირადა ხდება ცხელ ქვეყნებში.

მ. შ.

წესდება

სრულიად საქართველოს მეღვინე და მევენახეთა ყრილობებისა.

I. ყრილობათა დანიშნულება.

§ 1. საქართველოს მეღვინეობასა, მევენახეობასა და ღვინით ვაჭრობასთან დაკავშირებელ საკითხთა განსახილველად და (გასაძღოლად) ქ. თბილისში იმართება ყოველწლიური ყრილობები სახელწოდებით „საქართველოს მეღვინე-და მევენახეთა ყრილობა“.

§ 2. ყრილობა ისახავს მიზნათ: შეაკავშიროს საქართველოს მეღვინე-მევენახენი საერთო ინტერესების დასაცავად თვითმმართველობის საფუძველზე ხელი შეუწყოს მეღვინეობა-მევენახეობის გაუმჯობესებას, მევენახეთა ეკონომიურად აღორძინებას და ღვინით ვაჭრობის მოწესრიგებას სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით.

§ 3. მეორე მუხლში დასახული მიზნების განსახორციელებლად ყრილობა სთვლის თავის დანიშნულებად:

ა. მეღვინეობა-მევენახეობის და ღვინით ვაჭრობის განვითარებისათვის სასარგებლო დაწესებულებათა შექმნას, წარმოებას და მათთვის დახმარების აღმოჩენას.

ბ. მთავრობის, სახელმწიფო, საერობო და საზოგადო დაწესებულებათათვის დახმარებას იმ საშუალებათა გამოკვლევაში და განხორციელებაში, რომელნიც ხელს შეუწყობენ მეღვინეობა-მევენახეობის და ღვინით ვაჭრობის განვითარებას საქართველოში.

გ. დამუშავება და გატარება ცხოვრებაში კანონმდებელ და სახელმწიფო დაწესებულებათა საშუალებით იმ კანონებისა და განკარგულებებისა, რომელიც უზრუნველ ჰყოფენ მშობლიო მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებას.

დ. მეღვინეობა-მევენახეობაში საჭირო და სასარგებლო ცოდნათა გავრცელებას სკოლების, სახელმძღვანელოთა და სპეციალურ ჟურნალ გაზეთების გამოცემის, სახალხო ლექციების, ინსტრუქტორების დანიშვნის თუ თათბირების მოწყობის საშუალებით, გამოფენათა და ნაწარმოების ან იარაღ-მანქანების შეჯიბრებათა გამართვას.

ე. მეღვინეობა-მევენახეობისათვის საჭირო სტატისტიკურ და სხვა ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრება-გამოქვეყნებას და ყველა დაწესებულებათა წინაში შუამდგომლობათა აღძვრას.

ვ. ვენახების სივრცის მომატებაზე, ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების აღდგენაზე და ამ მიზნით საცდელ-საჩვენებელ სადგურების და სანერგეების მოწყობაზე ზრუნვას.

ზ. ვენახების დასეტყვისაგან დაზღვევის ორგანიზაციის მოწყობას და სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა კვლევა ძიებას და გავრცელებას.

ᲗᲘ. ვაზის და ღვინის ავადმყოფობასთან ბრძოლის წარმოებას, საწამლებელ მასალათა და იარად მანქანათა შეძენა-გავრცელებას ხალხში.

თ. ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლას.

ი. სამელიორაციო კრედიტებზე ზრუნვას.

§4. წესდებით დასახულ მიზანთა მისაღწევათ ყრილობას უფლება აქვს:

ა. იყოლიოს წარმომადგენელები სახელმწიფო, საერობო. და სხვა საზოგადო დაწესებულებებში და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად იმ საკითხების განხილვის დროს, რომელთაც კავშირში აქვთ მეღვინეობა-მევენახეობასთან, მაგალითად: აქციზის, რკინის გზის და საზღვაო ტარიფის, საბაჟო და სავაჭრო გადასახადების დაწესების ან გადასინჯვის დროს.

ბ. მოაწყოს და აწარმოვოს მეღვინეობა და მევენახეობისთვის და ღვინით ვაჭრობისთვის სასარგებლო დაწესებულებანი და სავაჭრო ხასიათის ორგანიზაციები.

გ. შეასრულოს თავის მიზნებთან შეწონილი და ამ წესდებით განსაზღვრული ყოველივე სხვა მოვალეობანი.

§ 5. ყრილობა ცნობილია იურიდიულ პიროვნებად და აქვს კანონიერი უფლება უძრავ-მოძრავი ქონების სყიდვა-გაყიდვისა, დაქირავება-გაქირავებისა, დაგირავება-გადაგირავებისა, ხელშეკრულობათა შეკვრისა, ვალდებულობათა მიღება-გაცემისა, სასამართლოს წინაშე საჩივრის აღძვრის და პასუხის გებისა, შემოწირულება—მემკვიდრეობის მიღებისა; ამას გარდა ყრილობას აქვს უფლება შევიდეს წევრად მის მიზნებისთვის შესაფერ სხვა და სხვა საზოგადოებასა და დაწესებულებებში.

§ 6. ყრილობას აქვს უფლება აიღოს სესხი, რომლის პირობებს საზღვრავს თვით ყრილობა ან მისი დავალებით ყრილობის საბჭო.

§ 7. ყრილობა ექვემდებარება მიწათ მოქმედების სამინისტროს და მოქმედობს მის მზრუნველობის ქვეშ. ხოლო დაწვრილებითი ცნობებს ხარჯთ აღრიცხვის, წლიურ ანგარიშის, მოქმედების გეგმის და სიას ყრილობაში მონაწილე პირთა და დაწესებულებათა შესახებ ყრილობა ყოველ წლიურად უდგენს ცნობისათვის მიწათ მოქმედების და ფინანსთა მინისტრებს.

§ 8 ყრილობის მიწერ-მოწერა სახელმწიფო თუ კერძო პირებთან და დაწესებულებებთან განთავისუფლებულია საღერბო და საფოსტო გადასახადისაგან.

§ 9. ყრილობას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და წარწერით: „საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა“.

II ყრილობის შემადგენლობა.

§ 10. ყრილობის სრულუფლებიან წევრებათ ითვლებიან:

1) თითო წარმომადგენელი-მევენახე ყველა იმ თემებისა, რომელნიც აწარმოებენ მევენახეობას. 2) თითო წარმომადგენელი მევენახეობის რაიონის ყველა საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციებისა. 3) თითო წარმომადგენელი ყველა მევენახეობის რაიონების სამაზრო ერობებისა. 4) ერთი წარმომადგენელი ერობათა ცენტრისა. 5) თითო წარმომადგენელი ქ. თბილისის, ქუთაისის და ყველა სხვა ქალაქების თვითმმართველობებისა. 6) ერთი წარმომადგენელი საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა. 7) წარმომადგენელი მიწათ მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო განყოფილებისა, საქციზო უწყების და ფინანსთა სამინისტროსი. 8) ყველა ქალაქთა ღვინით მოვაჭრეთა წარმომადგენლები, მათ შორის: ქ. თბილისიდან-3, ქუთაისიდან-2 და დანარჩენ ქალაქებიდან თითო წარმომადგენელი, და სათათბი-

რო ხმით მეღვინეობა—მევენახეობის ყველა სპეციალისტები და აგრონომები.

შენიშვნა I. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომ პირებს და ფირმებს ყრილობებზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ.

შენიშვნა II. ღვინით ვაჭართა წარმომადგენლების არჩევნები. უნდა მოეწყოს ინსტრუქციის თანახმად, რომელიც შემუშავებული იქმნება ყრილობათა საბჭოს მიერ, ხოლო დამტკიცებული ყრილობის მიერ.

III. ყრილობათა საშუალებანი.

II. ყრილობების და მათ მმართველ ორგანოს საბჭოს ხარჯთა გასაძღოლად წესდება შემდეგი გადასახადები: ა. კერძო პირნი, სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი, რომელნიც ღვინით და ყურძნიდგან მიღებულ მაგარ სასმელებით ვაჭრობის უფლებისთვის იხდიან სააქციზო გადასახადს, ყრილობის სასარგებლოდ დამატებით იხდიან ზემოაღნიშნულ გადასახადის 5%-ს

ბ. ის პირნი, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი, რომელნიც იხდიან ვენახებზედ დაწესებულ სახელმწიფო გადასახადს, ყრილობის სასარგებლოდ იხდიან ამ გადასახადების ჯამის 20%ს.

შენიშვნა 1. ამ პარაგრაფში მოხსენებულ გადასახადების მოკრეფა ევალება სახაზინოებს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათ და ხდება იმავე დროსა და იმავე წესით, როგორითაც სახელმწიფო გადასახადების მოკრეფა. ყრილობათა სასარგებლოთ ამ რიგათ მიღებული შემოსავალი სახაზინოებმა და ყველა სხვა დაწესებულებებმა უნდა ყოველ თვიურად გადასცენ ყრილობათა საბჭოს სათანადო სიით.

შენიშვნა II. ყრილობათა საშუალებანი და თანხები ინახება საკრედიტო დაწესებულებებში.

§12. §11-ში მოხსენებულ გადასახადების გარდა ყრილობათა საშუალებებს შეადგენენ:

ა. ყრილობათა სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა და ოპერაციებით მიღებული მოგება.

ბ. პროცენტები თანხებისა და შემოსავალი იმ ქონებისა, რომელიც ყრილობათა საკუთრებას შეადგენს.

გ. მოწმობების, ცნობების და სხვა საბუთების გაცემით მიღებული გადასახადი და

დ. სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი.

§ 13. ყრილობათ ენიჭებათ უფლება შექმნან თავის შემოსავლიდან სხვა და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების თანხები.

§ 14. მევენახეობის, მეღვინეობის, თუ ღვინის ვაჭრობის ხელშემწყო სხვა და სხვა დაწესებულებათა დასაარსებლად და მოსაწყობად ყრილობათ ენიჭებათ უფლება გამოსცენ, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრთა ნებართვით, განსაკუთრებული საობლიგაციო სესხი.

IV ყრილობის საქმეთა მმართველი.

§ 15. მეღვინე-მევენახეთა ყრილობები ანხორციელებენ დასახულ მიზნებს და მოვალეობებს შემდეგის ორგანიზაციების საშუალებით: ა. წევრთა საზოგადო ყრილობით; ბ. ყრილობათა საბჭოთი და გ. სარევიზიო კომისიით.

შენიშვნა. აღნიშნულ ორგანიზაციების გარდა ყრილობათ უფლება აქვთ შეადგინონ მუდმივი და დროებითი სპეციალური კომისიები, როგორც სხვა და სხვა საკითხების გამოკვლევისა და შემუშავებისათვის, აგრეთვე ყრილობების მიერ დაწყებულ სხვა და სხვა საქმეების გამგებლობისათვის.

ამ კომისიების შემადგენლობა და უფლება-მოვალეობანი უნდა განისაზღვრონ ყრილობის მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ ინსტრუქციით.

§ 16. საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობების და მათ საბჭოს მოქმედების გასაფართოებლათ და ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ არსდება მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ დებულების მიხედვით მცირე სასოფლო მეღვინე-მევენახეთა ერთეულები ორგანიზაციები, რომელნიც ადმინისტრატიულ ერთეულების დახმარებით ხელს შეუწყობენ ყრილობათა საბჭოს თუ მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ მეღვინეობა-მევენახეობაში აღიარებულ საჭირო ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

ყრილობათა საბჭო; მისი უფლება მოვალეობანი.

§ 17. ყრილობათა ყველა საქმეებს აწარმოებს ყრილობათა საბჭო, რომელიც ბინადრობს ქ. თბილისში და წარმომადგენლობს ყრილობების ყველა საქმეებში და დამოკიდებულებაში სხვა და სხვა პირებთან თუ დაწესებულებებთან. საბჭოს და ცალ-ცალკე მის წევრთა უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს ყრილობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია.

§ 18. კერძოთ საბჭოს ევალება:

ა. შედგენა წესებისა და ინსტრუქციებისა ყრილობათა სხვა და სხვა დარგების განვითარების და მოქმედების შესახებ ყრილობათათვის წარსადგენათ.

ბ. მიღება და გაცემა ფულისა და ყრილობათა ყოველივე საშუალებებისა.

გ. ვექილების ან სხვა ვალიან ვალდებულობათა გაცემა ყრილობის მიერ ნებადართულ ფორგლებში.

დ. ყოველგვარ პირობათა და ხელშეკრულობათა დადება ყრილობების სახელით.

ე. სხვა და სხვა პირთა თვის რწმუნებათა და ვექილობის მიცემა.

ვ. საჭირო უძრავ-მოძრავი ქონების და საქონლის სყიდვა-გაყიდვა, მათი დაგირავება-გადაგირავება და ყრილობათა ქონების დაზღვევა.

ზ. საჭირო ბინების და საწყობების დაქირავება.

Თ. მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა და მათი მუშაობის და მოვალეობის განსაზღვრა.

თ. შედგენა ცალკე კომისიებისა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება მინიჭებული აქვს საბჭოს ყრილობების მიერ

ი. ანგარიშების წიგნების და ყრილობათა მიწერ-მოწერის წარმოება.

ია. წლიურ ანგარიშების ხარჯთ-აღრიცხვის და მოქმედების გეგმათა შედგენა და მათი წარდგენა ყრილობათათვის.

იბ. წევრთა საერთო ყრილობების მოწვევა და საზოგადოთ გამგებლობა ყველა საქმეებისა, რომელნიც ეკუთვნიან ყრილობათა დანიშნულებას, მათ მიერ არიან საბჭოსადმი დავალებულნი, და ყველა სხვა მოვალეობანი, რომელნიც არსებითად გამომდინარეობენ ამ წესდების შინაარსიდან.

§ 19. საბჭო შესდგება არა ნაკლებ შვიდი წევრისაგან. მათ შორის თავმჯდომარის და მის ამხანაგისაგან, რომელთაც ირჩევს ყრილობა მეღვინე-მევენახეთა შორის საპი წლის ვადით. მათ ყრილობის დადგენილებით შეიძლება დაენიშნოთ ჯილდო.

შენიშვნა. ასარჩევ თანამდებობაზედ შეიძლება იყვნენ არჩეულნი მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომნი.

§ 20. საბჭოს წევრთა გარდა ყრილობა ირჩევს იმავე წესით სამ კანდიდატს, რომ დროებით დაიკავონ საბჭოს წევრის ალაგი, თუ რომელიმე მათგანი დროებით ან სამუდამოთ გამოვა საბჭოდან.

შენიშვნა, კანდიდატი ასრულებს საბჭოს წევრის მოვალეობას იმ ვადით, რა ვადითაც იყო არჩეული თვით საბჭოს გასული წევრი.

§ 21. ყოველ წლიურად საბჭოს წევრთა და მათ კანდიდატთა მესამედი სტოვებენ სამსახურს ამორჩევის უფროსობით. პირველ ყრილობაზე არჩეულნი საბჭოს წევრნი და მათი კანდიდატები პირველ ორ წელიწადს კენჭის ყრით გამოდიან, გარდა თავმჯდომარისა, რომელიც სამ წელიწადს ასრულებს; გამოსული წევრი საბჭოსი შეიძლება ხელმეორეთ აირჩიონ.

§ 22. საბჭო თავის წევრთა შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარს და, საზოგადოთ, ანაწილებს წევრთ შორის მოვალეობებს.

§ 23. საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მხოლოდ არა ნაკლებ, ვიდრე კვირაში ერთხელ; საბჭოს სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი ამხანაგი და სამი წევრი; საბჭოს სხდომაზე საკითხები სწყდება ხმის უბრალო უმეტესობით, იმ შემთხვევაში თუ ხმები თანაბარია თავმჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს, საბჭოს დადგენილებანი იწერება განსაკუთრებულ წიგნში და დამსწრე წევრნი აწერენ ხელს.

§ 24. ყოველ გვარ მიწერ-მოწერას საბჭო აწარმოებს ყრილობის სახელით და საბჭოს თავმჯდომარის ან მისი ამხანაგის ხელის მოწერით.

§ 24. თამასუქები, რწმუნებულებანი, ხელწერილები, ხელშეკრულებანი, ნასყიდობის ქაღალდები და სხვა აქტები, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებებიდან ყრილობათა თანხების მიღების მოთხოვნილებანი, უნდა იყოს ხელმოწერილი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი ამხანაგის და კიდევ საბჭოს ერთ-ერთ წევრის მიერ. ფოსტიდან ფულის ამანათის და საბუთების, აგრეთვე შესანახად შეტანილ სარგებლიან ქაღალდების და კუპონების მისაღებად საკმარისია ხელის მოწერა საბჭოს ერთი წევრისა ყრილობათა ბეჭდის დასმით.

§ 26. საბჭო ხარჯავს ფულს თანახმათ ყრილობის მ-ერ მიღებულ ხარჯთ აღრიცხვისა; ყრილობამვე უნდა განსაზღვროს იმ ხარჯის რაოდენობა, რომლის დახარჯვაც საბჭოს შეუძლიან ხარჯთაღრიცხვის ზედმეტათ—ვინიცობაა ხარჯი მოულოდნელი და გადაუდებელია,—ამ შემთხვევაში საბჭოს წევრნი პასუხის მგებელნი არიან ყრილობის წინაშე; ამ გვარი ხარჯის გაწევა საბჭომ უნდა გადასწყვიტოს თავის შემადგენლობის არა ნაკლებ ორი მესამედის ხმით.

V. ანგარიში და რევიზია.

§ 27. საბჭო ვალდებულია შეადგინოს ყოველ განვლილი წლის წლიური ანგარიში და მისი თანხების ტრიალის ბალანსი. აგრეთვე უნდა შედგენილ იქმნას ხარჯთ აღრიცხვა და გეგმა მოქმედებისა მომავალი წლისათვის; ხოლო ყველა ესენი ყრილობას წარედგინება დასამტკიცებლად სარევიზიო კომისიის მიერ განხილვის და შესწორების შემდეგ.

შენიშვნა. ანგარიში უნდა იყოს შედგენილი და საბჭოსა და სარევიზიო კომისიის მიერ ხელმოწერილი არა უგვიანეს ორი კვირისა ყრილობის დღემდე; რომელსაც ეს ანგარიში უნდა წარედგინოს. ამ ორი კვირის განმავლობაში ანგარიში განსაზღვრულ დროს საბჭოს ბინაზე მსურველთათვის ღია უნდა იყოს გადასათვალიერებლად.

§ 28. ყრილობათა საანგარიშო წელიწადი იწყება ნოემბრიდან და თავდება 31 ოქტომბერს; თუ ყრილობა შესდგება საან-

გარიშო წლის განმავლობაში პირველი საანგარიშო წელი ითვლება მოქმედების დაწყებიდან 31 ოქტომბრამდე მიმდინარე წლისა.

§ 29. სარევიზიო კომისიას ყრილობა ირჩევს არა ნაკლებ სამი წევრისა და ორი კანდიდატისაგან ერთი წლის ვადით იმ პირთა შორის, რომელნიც არ შედიან საბჭოს შემადგენლობაში და არც რაიმე თანამდებობა უკავიათ ყრილობათა საქმეებში.

§ 30. სარევიზიო კომისიას ევალება მოჰავალ ყრილობის დღემდე ერთი თვით ადრე გადასინჯვა წარსული წლის ანგარიშების ბალანსისა და მათთან დაკავშირებულ დავთრების საბუთების და ანგარიშებისა, რომელნიც თავისი დასკვნით შეაქვს ყრილობაზე. სარევიზიო კომისიას აქვს უფლება აგრეთვე მოულოდნელი რევიზიისა.

§ 31. სარევიზიო კომისიის მოქმედების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ თვით ყრილობასთან, ხოლო საჩივარი მიეცემა სარევიზიო კომისიას, რომელმაც იგი თავისი დასკვნით უნდა წარუდგინოს უახლოეს ყრილობას.

VI. ყრილობები.

§32. ყრილობები არის ჩვეულებრივი ანუ წლიური და არაჩვეულებრივი; ჩვეულებრივ ყრილობას საბჭო იწვევს ყოველ წელს არა უგვიანეს თებერვლისა წარსული წლის ანგარიშის, შემდეგი წლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად და აგრეთვე საბჭოს წევრების, მათი კანდიდატების და სარევიზიო კომისიის ასარჩევად. ყრილობაზე ირჩევა და სწყდება სხვა საკითხებიც, რომელნიც საბჭოს უფლებას აღემატებიან ან და აღძრულნი იქნებიან თვით ყრილობის მიერ.

§ 33. არაჩვეულებრივ ყრილობას იწვევს საბჭო ან თავისით, ან ყრილობის ათი წევრის ან და სარევიზიო კომისიის მოთხოვნილებით; ამ გვარი მოთხოვნილება ყრილობათა წევრებისა ან სარევიზიო კომისიისა სისრულეში უნდა იყოს მოყვანილი საბჭოს მიერ არა უგვიანეს ორი თვისა დღიდან საბჭოში, ყრილობის მოწვევის შესახებ, განცხადების შეტანისა.

§ 34. ყრილობის პრეზიდიუმს ირჩევს თვით ყრილობა; მის არჩევამდე ყრილობას ხელმძღვანელობს საბჭოს პრეზიდიუმი.

§ 35. ყრილობის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრო არა ნაკლები ყრილობათა ყველა წევრთა მეათედი რიცხვისა; ვინიცობაა ეს წევრთა მეათედი რიცხვი ყრილობაზე არ დაესწრო, ოცდა ოთხს საათის შემდეგ ინიშნება პირველი კრების მაგიერ მეორე კრება, რომელიც კანონიერია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

§ 36. ყრილობის მიერ განსახილველი ყველა საკითხი უნდა იყოს შეტანილი ყრილობაში თვით საბჭოს მიერ. ამიტომ წევრმა, რომელსაც სურს ყრილობაში რაიმე საკითხის შეტანა, უნდა წერილობით მიჰმართოს საბჭოს არა უგვიანეს ათი დღისა ყრილობის დღემდე; ეს წინადადება-განცხადება საბჭომ უნდა წარუდგინოს ყრილობას თავისი დასკვნით.

§ 37. ყრილობის დადგენილებანი უნდა იყოს შეტანილი ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ყრილობის თავმჯდომარე, ყველა დამსწრე საბჭოს წევრი და ხუთი ყრილობის წევრი მაინც.

§ 38. დრო და ბინა ყრილობისა უნდა იყოს გამოქვეყნებული ერთი თვის წინ ყრილობის დღემდე ოფიციალურ გაზეთში და აგრეთვე საბჭოს ჟურნალში; გამოქვეყნებულს დაბეჭდილს განცხადე-

ბაში სავსებით უნდა იყოს მოყვანილი ყრილობის მიერ განსახილველი საკითხები.

§ 39. ყრილობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ყრილობის არჩეულნი რწმუნებულნი. ხმის გადაცემა დაუშვებელია ყველა საკითხი, არჩევნების გარდა ყრილობაზე სწყდება ყრილობის სურვილით კენჭის ყრით, ან ბარათების მიწოდებით, ან და წევრთა ფეხზე ადგომით. თვით ამ წესრიგის საკითხი გარდაწყდება წევრთა ფეხზე ადგომით. არჩევნები ყრილობაში მოხდება მხოლოდ ფარული კენჭის ყრით.

§ 40. ეს წესდება შეიძლება შეივსოს ან შეიცვალოს საერთო ყრილობაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედის ხმის უმრავლესობით მიღებულ დადგენილების თანახმად და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიე დამტკიცების შემდეგ.

ღვინის კანონ-პროექტი

1. ღვინო ეწოდება მხოლოდ ისეთს სასმელს, რომელიც წარმოშობილია ყურძნის ტკბილის ალკოჰოლმშობ დუღილით ჭაჭაზედ ან უჭაჭოდ.

რისამე ჩამატება ამ ნაწარმში, გარდა ამავე კანონის მე 2. მუხლში მოხსენებულისა, აკრძალულია.

2. მთავრობისათვის განუცხადებლათ მემარნეობაში ნება დართულია:

ა. ღვინის რჩეული და ჩვეულებრივი დედა;

ბ. ღვინის დასაწმენდი უვნებელი საშუალებანი (ჟელატინა, თევზის ბუშტი, ცილა, რძე, კაზეინი, ტანინი, კოლონი ესპანეთის მიწა, კაჟის ქვიშა, აზბესტი, ცელულოზა, ნახშირი);

გ. ღვინის ქვის სიმჟავე, ლიმონის სიმჟავე, ნახშირის სიმჟავე, ამონის მარილები;

დ. უდარეშხანო გოგირდი, თხიადი გოგირდიანი სიმჟავე;

ე. პასტერიზაცია;

ვ. გაყინვა კონცენტრაციის მიზნით;

ზ. კუპაჟი;

Ꙋ. მთავრობის ნებართვით განსაკუთრებულ შემთხვევებში და ექსპორტისათვის სუფრის ღვინოებში ღვინიდან მიღებულ ალკოჰოლის ჩამატება მოცულობით 12%-მდე, იმ პირობით კი, რომ ჩამატებულ ალკოჰოლის რაოდენობა არ აღემატებოდეს 3%-ს (საამისო ალკოჰოლი აქციზ აუხდელია).

3. აკრძალულია:

ა. ღვინოში ლიტრაზე 0,92 გრამზე მეტი გოგირდის სიმჟავის ანჰიდრიდის ტოლფასი სულფატები;

ბ. გოგირდ ჩაბოლებულ ან გოგირდიან სიმჟავერეულ ღვინოში ლიტრზე 0,2 გრამის მეტი საერთო, — ხოლო 0,02 გრამის მეტი თავისუფალი გოგირდიანი სიმჟავე;

გ. ღვინოში ლიტრზე 0,01 გრამზე მეტი სპილენძი;

დ. ღვინისთვის ფერის მისაცემათ მინერალურ და ორგანულ საფერავთა ხმარება;

ე. გოგირდიან სიმჟავის გარდა ისეთ ნივთიერებათა ხმარება, რომელთაც მიზნათ აქვთ ღვინის დედის მოქმედების შეჩერება ან რამ ანტისეფტიკური გავლენის მოხდენა ღვინოზე (სალიცილის სიმჟავე, ბენცოეს სიმჟავე, ბორის სიმჟავე);

ვ. ღვინოში ორგანულ სიმჟავეთა (გარდა მეორე მუხლში მოხსენებულისა) და მათ მარილების, გლიცერინის, ხელოვნურ ტკბილ ნივთობთა (სახარინი) და სურნელობათა ჩამატება;

ზ. ღვინოში ჩამატება წყალში ხსნად ჯანმრთელობისათვის მავნებელ იმისთანა მინერალურ და ორგანულ ნივთობთა, როგორებიც არის ალუმინის—,ბარის—, სტრონიცის — და სხვა მძიმე მეტალების მარილები, გოგირდის , მჟაუნას სიმჟავენი და სხვა;

Ꙋ. ღვინოში ან ტკბილში წყლის ჩამატება;

თ. ღვინოში ან ტკბილში შაქარის ან შაქარწყლის ჩამატება.

ი. დაჭანკვებულ (ლიტრ ღვინოზე 0,2 გრამაზე მეტი ამქრლადი სიმჟავე—ძმრის სიმჟავე) და სხვა გვარათ დაავადებულ ღვინოებით ვაჭრობა;

ია. ღვინის დაყენება ჩამიჩიდან, ჭაჭიდან და თხლიდან;

შენიშვნა: საკუთარ მოთხოვნილებისათვის შეიძლება მხოლოდ ჭაჭიდგან და თხილიდგან შაქარწყლით ან მხოლოდ წყლით შამანის დამზადება არა უმეტეს 10 ვერდისა დესეტინა ვენახზედ.

იბ. სუფრის ღვინოში ალკოჰოლის ჩამატება § 2, ბ მუხლში მოხსენებულ შემთხვევის გარდა.

4. წარმოშობის ადგილის სახელის ტარება (კახური ღვინო, კარდანახის ღვინო, გძელმინდორი, ნაფარეული, სვირის ღვინო და სხვა) შეუძლია ისეთს ღვიეოს, რომელიც მართლა აღნიშნულ ადგილიდან არის წარმოშობილი. უცხოეთიდან შემოტანილი ღვინო უეჭველათ უნდა ატარებდეს თავის ქვეყნის სახელს.

5. უცხო ქვეყნების განსაკუთრებულ ღვინოების (როგორც მაგალითად: „მალაგა“ „პორტვეინი“ „შამპანური“) მსგავსად დაყენებულ ღვინოებს წინერთვის სიტყვა: „ქართული,“ მაგ.: „ქართული მალაგა,“ „ქართული პორტვეინი,“ „ქართული შამპანური“.

შენიშვნა: „ქართულ შამპანურის“ და „შუშხა ღვინოების“ დამზადებისათვის საჭირო შაქრის სახმარებლათ სავალდებულოა წინასწარი განცხადება ნებართვის ასაღებად.

6. ნახშირმჟავით გაჟღენთილ შუშხა ღვინოებს ეწოდება: „შუშხა ღვინო.“

7. მაგარი ღვინოები ეწოდება ისეთს ღვიეოებს, რომელიც მიღებულია ყურძნის ტკბილის ალკოჰოლშობ დულილით ჭაჭაზე ან უჭაჭოთ და ღვინიდან მიღებულ ალკოჰოლის დამატებით არა უმეტეს მოცულობის 25%-სა.

8. ტკბილი ანუ ლიკიორის ღვინოები ეწოდება ისეთს ღვინოებს, რომელიც ან შემჭყნარ ყურძნიდან, ან ტკბილის შესქელებით არის დამზადებული და დულილის შემდეგ მოცულობის 18%-დე ღვინიდან მიღებულ ალკოჰოლით გაყუჩებული.

9. ეტიკეტებზე სავალდებულოა წარწერა ფორმისა და ღვინის წარმოების ადგილისა.

10. ყველა ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნილნბა ღვინის დამზადებისა და შედგენილობის შესახებ შეეხება აგრეთვე საზღვარ გარეთიდან ყველა შემოზიდულ ღვინოებს, თუ ამ სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულება განსაკუთრებულ უფლებას არ აკუთნებს მათ.

11. ეს კანონი გამოკიდული უნდა იყოს ყველა ღვინის საწყობებში და სავაჭროებში.

12. ამ კანონის დარღვევისთვის დაისჯება:

ა. შემჩნეული § 2.ბ., § 5, § 6, § 7, და ჯანმრთელობისთვის უვნებელ, მაგრამ კანონით ნება დაურთველ ნივთობთა ღვინოში ჩამატებისათვის

I, შემთხვევაში 10000—20000 მანეთამდე დაჯარიმებით.

II. შემთხვევაში 20000—50000 მანეთამდე დაჯარიმებით.

ბ. შემჩნეულნი § 3. ა. ბ. გ. ი. ე. ია. § 4. § 9-ში.

I. შემთხვევაში 10000—20000 მანეთამდე დაჯარიმებით და 3—14 დღემდე ციხეში დატუსაღებით.

II. შემთხვევაში 20000—50000 მანეთამდე დაჯარიმებით და 14 60 დღემდე ციხეში დატუსაღებით.

გ. შემჩნეულნი § 3. დ. ვ. ზ. ბ. თ-ში

I. შემთხვევაში 20000—50000 მანეთამდე დაჯარიმებით და 14—30 დღემდე ციხეში დატუსაღებით.

II. შემთხვევაში 50000 - 100000 მანეთამდე დაჯარიმებით და 1 – 3 თვემდე ციხეში დატუსაღებით.

შენიშვნა 1. მე—3 მუხლის Ⴑ ში დამნაშავეთ მე II რე შემჩნევის შემდეგ და დანარჩენ დამნაშავეთ კი მე—III შემჩნევის შემდეგ მიესჯებათ უდიდესი სასჯელი და სამუდამოთ ეკრძალებათ ღვინით ვაჭრობა.

შენიშვნა 2. ყველა აღნიშნულ დამნაშავეთა ღვინო კონფისკაციის სახით სახელმწიფოს ხელში გადადის, რომელიც აღნიშნულ ღვინოებს ან სრულიად სპობს ან და სპირტის გამოსახდელად იყენებს.

პრესა.

გაზეთ „ერთობაში“ 24 ივნისის ნომერში, მოთავსებულია წერილი კ. გაბიჩვაძისა სათაურით: „ღვინის ფალსიფიკაცია“. წერილში მოყვანილია ისტორია, ღვინის კანონის გამოცემის და ცხოვრებაში გატარებისა, მეღვინე მევენახეობის კომიტეტების მოქმედებისა და სხვა.

ავტორს, როგორცა სჩანს მისი წერილიდგან, ძალიან მოსწონს ძველი ღვინის კანონი და ელის მის ხელახლად შემოღებას. სხვათა შორის წერილის ავტორს თავისი აზრების განსახორციელებლად გადუდგამს კიდეც რამდენიმე ნაბიჯი. მას ქალაქ თბილისის მოურავი უნახია და მიურთმევია მოხსენება ღვინის ფალსიფიკაციის შესახებ.

ქალაქის მოურავს დიდის ყურადღებით მოუსმენია მოხსენება და, ავტორისავე სიტყვით, მოხსენებაზედ რეზოლიუცია წაუწერია: „განხილულ და მიღებულ იყოს მალეო“. მოხსენება შემდეგ სანიტარულ განყოფილებისათვის დასამუშავებლად გადაუციათ, სადაც შემდეგი დადგენილება მიუღიათ: „რაც შეიძლება მალე აღდგენილ იქნას ღვინის კანონიო“. წერილის ბოლოში ავტორი სთვლის სასურველად, რომ რაც კი შეიძლება მალე ქალაქის თავმა აღადგინოს კანონი ღვინოზედ და გადიდებულ ჯარიმებით და ადმინისტრატიული სასჯელით აილაგმოს ღვინის ფალსიფიკატორების თავგასულობა. ფართო საზოგადოება, მწარმოებელნი და შეგნებული ღვინის მოვაჭრენი ელოდებიან შველასა და ხსნასაო“.

ამ წერილზედ საჭირო არ იყო შეჩერება, მას რომ არ ბეჭდავდეს ისეთი ორგანო როგორიცაა „ერთობა“, და ისეთი ავტორი წერილისა, როგორც სელვინე კ. გაბიჩვაძე, თბილისის მეღვინე მევენახეობნის კომიტეტის ყოფილი აგენტი, რომელიც ღვინის ფალსიფიკაციას ებრძოდა და კარგად უნდა იცოდეს ღვინის კანონის ამბავი.

ღვინის წარმოებით და გასაღებით, თუ მისი ბუნებრივი შემადგენლობით დაინტერესებულია არა მარტო ქალაქის თავი, არამედ მთელი რიგი უწყებათა, როგორც: საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობების საბჭო, მიწად მოქმედებისა და ფინანსთსამინისტრო, ღვინის მწარმოებელი კოოპერაატივები და საზოგადოებანი და სხვა მრავალი.

როგორც საზოგადოდ ყველა კანონები, აგრეთვე ღვინისა ჯერ უნდა დამუშავდეს და გადაისინჯოს სათანადო დაწესებულებებში. რადგანაც ღვინის კანონი არის სპეციალური დარგი და არა საქალაქო მეურნეობა, მის შემუშავებას სჭირდება მრავალ მხრით სათანადო ცოდნა, გამოცდილება და დაკვირვება; დამუშავების შემდეგ კანონ პროექტი უნდა გადაეცეს დამფუძნებელ კრებას და ეს უკანასკნელი მხოლოდ დამტკიცების შემდეგ გამოაქვეყნეს. ამიტომ ბ-ნ გაპიჩევაძეს თავის განცხადებით უნდა მიემართნა ან მიწად მოქმედების სამინისტროსათვის ან მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოსთვის საშუამდგომლოთ და არა ქალაქისმოურავისთვის, რადგან მისი მოქმედება განისაზღვრება მხოლოდ ქალაქ თფილისით, სხვა ადგილას მის დადგენილებებს არა აქვს ძალა, და როგორც ვიცით, ღვინის კანონით კი დაინტერესებულია მთელი საქართველო.

აქვე დაინტერესებულთა საყურადღებოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეღვინე მევენახეთ ყრილობათა საბჭომ უკვე დაიმუშავა ღვინის კანონ პროექტი, რომელიც ამ მოკლე ხანში წარედგინება სათანადო დაწესებულებებში განსახილველათ და დასამტკიცებლად.

ნარ-ზენ.

კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი"

საზოგადოება „კახეთი" არსებობს 1895 წლიდან და ამ ჟამად 246 მევენახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი"-ს წევრობა შეუძლიან ყველა კახელ მევენახეს და აგრეთვე ყველა მას, ვინცკი ჩაბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ოთველ წლივ.

მთავარი კონტორა საზოგადოება „კახეთი"-სა მოთავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5. ტელეფონი № 13—23, სოლო სარდაფი გოგოლის ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ტელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი"-ს მთავარი საწყობები კახეთში ორ ადგილს არის მოწყობილი: თელავში „კახეთი"-ს ბიურო ალექსანდრე მაყაშვილთან და კარდანახში, „კახეთი"-ს ბიურო ნიკოლოზ დარაშვილთან.

სტამბა ქართული ბეჭდითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.